

ლიტერატურული ხელშეკრუნვი



ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთ „ხაშურის მოამბის“ დამატება
№8, 28 აბგისტო, ორშაბათი, 2023 წელი

მეწყრის სამარხი!!!

შემიკრთა მზე და... შემიკრთა მზე და...
ზეცამ ფარდები დაუშვა თალხი!
დაძიძგნა მინა! – საქალამნედ ვით გამოდგება?!
მთა მთას მოსწყვიტა... დაიტანა სახლები, ხალხით...
სულისშემძვრელი, ისმის მთიდან მოთქმა-გოდება!
როდემდე მსხვერპლი და უმიზნო კვდომა სიცოცხლის
და ამოუცნობ სულთან ერთად საფლავში წოლა?!
როდემდე?!. ცაზე სულთა ჩუმი, უტყვი მიმოსვლის,
ოდეს შეწყდება, დამთავრდება როდის ეს ბრძოლა?!
შემიკრთა მზე და გაიცრიცა კვლავინდებურად! –
რა დამთხვევაა, – სიმბოლური (?) ომი... სტიქია ...
ცრემლი და გლოვა თითქოს გახდა, ვითარც ჩვეული...
ვგრძნობ, რომ ცხოვრება ზღაპარია... უფრო მითია!
ნუ დამიძიძგნით მინას – ქალამანს!
ნულარ შემაჩვევთ ტყეებს ნახანძრალს,
ოკეანეებს ნუ მომინამლავთ!
შორს სამყაროსგან ხელი მავანთა!..

მაკო მაჭარაშვილი



ჩ ა ნ ა ნ ე რ ე ბ ი ბ ი ბ ი



ქადაგი საქართველო

ჩვენ და სხვისი წისქილი

დღეს, საქართველოში ყველა პოლიტიკოსობას. სადაც უნდა წახვიდეთ, ყველგან პოლიტიკური შინაარსის „მარგალიტები“ იფრქვევა! არ გამოვრიცხავ, რომ ჩემს ნაწერშიც იპოვოთ ასეთი „ძვირფასი მძივი“, რადგან მეც ნაწილი ვარ მრთელისა, რომელსაც საზოგადოება ჰქვია.

ორი თუ სამი წელი იქნებოდა გასული რუსეთ-საქართველოს (2008 წელი) ომის შემდეგ. ერთ-ერთ რაიონში ვიყავი საქმეზე და,

უკან დასაბრუნებლად, ავტობუსს ველოდებოდი მოსაცდელზე.

ყველაზე ჭარბი დრო ამ დროს აქვს ადამიანს და ცდილობს, როგორმე „მოკლას“ იგი. ხან აიყოლიებ საუბარში ვიღაცას, ხან სხვა აგიყოლიებს და ასე გადის დრო.

დროის გაყვანის სხვა ხერხიც არსებობს, მაგრამ ხშირად არ ამართლებს. აი, მაგალითად:

მიიღებ იერს, თითქოს მარტო ხარ შენს ფიქრებთან და არ გაინტერესებს სასაუბრო თემას. სინამდვილეში, გაფაციცებით ისმენ და გულში აანალიზებ ნათქვამს. ეს პოზიცია უფრო მომგებიანია, მაგრამ რად გინდა, ყოველთვის არ ამართლებს. ხშირია შემთხვევა, როცა ისეთ რამეს „დააზღერთებენ,“ იძულებული ხდები, „სამალავიდან“ გამოხვიდე. ე. ი. დაარღვიო „დუმილის პრეზუმუტცია“ და ღიად ჩაერთო საუბარში.

ჰოდა, ავტობუსის მოსაცდელზე ყოფნისას, ერთმა ჭარმაგმა მოსაუბრებ მიიქცია ჩემი ყურადღება. ისიც ჩემსავით მგზავრი იყო და საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრებ ჩანდა.

ვზივარ ჩემთვის და „შენიდბულად“ ვისმენ მგზავრების საუბარს.

ენაწყლიანმა მოსაუბრებ ჯერ ყოფითი პრობლემები განიხილა, შემდეგ სურსათის სიძვირეზე ჩამოაგდო სიტყვა; მეზობლური დავებიც არ დარჩენია ყურადღების მიღმა. შემდეგ ცოტა ხნით სხვასაც მოუსმინა და ისევ თვითონ ჩაიგდო ხელში საუბრის სადავე. ამჟამად, გლობალური პრობლემა წამოსწია. ამ ხნის მანძილზე ერთხელაც არ გამჩენია სურვილი საუბარში ჩარევისა, საუბრის თემის შეცვლამ კი, დამარწმუნა, რომ დიდხანს არ მომინევდა უინტერესო მგზავრის როლში ყოფნა.

მგზავრს საუბრის საღერღელი აშლოდა. ყველა ბრუნვაში ახსენებდა იმ დროს, როცა სტუმრობდა „ჩვენს ჩრდილოელ ძმებს“ და, რომ ბილეთი, ჯერ კიდევ, ოცდაჩვიდმეტი მანეთი ღირდა. საუბრობდა ქართული ხილის, ციტრუსების თუ მინერალური წყლების სარფიან რეალიზაზე; სამუშაო ადგილების მრავალფეროვნებაზე; სურსათ-სანოვაგის სიიაფეზე; ნაკლებ მიგრაციაზე...

ვუსმენ მოსაუბრეს (ჯერ კიდევ შეუმჩნევლად) და ლამის არის, დავვიქრდე: იქნებ, მართლა, ტყუილად დაშალეს სსრ კავშირი და ხომ არ შევცდი, ასე რომ გამეხარდა მისი დაშლა-მეთქი!

ვიდრე მგზავრი ჩრდილოელი ქალებისა და სამხრეთელი მამაკაცების ტემპერამეტზე ჩამოაგდებდა საუბარს, კიდევ ვახერხებდი წყნარად ყოფნას; მაგრამ, როცა ხმას დაუწია და ამ ყბადალებული თემის ირგვლივ აღფრთოვანება დაიწყო, „სამალავიდან“ გამოვედი და ჩავერიე:

– ბატონო ჩემო, – ვამბობ მოზომილი ხმით, – მინდა, ერთი უწყინარი შეკითხვა (კაი უწყინარია, მე და ჩემმა მზემ!) დაგისვათ,

თუ შეიძლება, – მივმართავ მგზავრს, მიამიტი სახით.

– თქვით, რა თქმა უნდა, შეიძლება.

– თქვენ რომ დროზე საუბრობთ, იყო თუ არა მაშინ მსოფლიო რუკაზე ჩვენი ქვეყანა – საქართველო?

შეცბა და, რომ იტყვიან, ბრინჯივით დაიბნა! ალბათ, არ მოელოდა ასეთ ჩამჭრელ შეკითხვას. ნირნამხდარმა შემომხედა და წაილულლუდა:

– სსრ კავშირის რუკაზე რომ იყო, დანამდვილებით ვიცი, მსოფლიო რუკაზე იყო თუ არა, ვერ გეტყვით. შემდეგ თავი ორქოფულად გადააქნია, თითქოს გამოსავალს ეძებსო და ნათქვამს დაამატა: „იქნებოდა, ალბათ!“

„დაზღერთებაც“ ამას ჰქვია! – ვამბობ გულში და სიმშვიდის შენარჩუნებას ვცდილობ.

– როგორ თუ იქნებოდა! ხომ ვსაუბრობთ მე და თქვენ ამ წუთში, ამ რაიონში, ჰოდა, ამავდროულად, როგორლა ვიქნებით, ვთქვათ: ხომში, თბილისში, ლაგოდებში ან, თუნდაც, რომში?

– ვერანაირად ვერ ვიქნებით, – ალიარა, როგორც იქნა, საბჭოთა კავშირის ნოსტალგიით შეპყრობილმა მგზავრმა ჭეშმარიტება. თან, ისე შემომხედა, თითქოს ეთქვას: ამას ვის გადავეკიდეო!

– აი, სწორედ, მანდა ვარ მეც, – ვაგრძელებ ჩემსას: სსრ კავშირის რუკაზე ყოფნა არ ნიშნავს, რომ დამოუკიდებელი ქვეყანა ვიყავით. შესაბამისად, ვერც მსოფლიო რუკაზე ვიქნებოდით, ცხადია.

– ახლა თუ ხართ მსოფლიო რუკაზე? – იკითხა მოსაუბრებ მწყრალად და ისე შემომხედა, საუბრის გაგრძელების გარეშეც ნათელი იყო, თუ რის თქმა სურდა.

– თუ არ მოსწონდათ რუსეთი, რა რჯიდათ, ხელი რატომ მოუწერეს იმ ქალალზე! (გეორგიევსკის ტრაქტატი იგულისხმა, ალბათ) – თქვა გაგულისებულმა მგზავრმა და, ახლა უკვე ისე შემომხედა, ამ არგუმენტზე რას იტყვიო!

– თქვენი სახელი მითხარით, ბატონო ჩემო, – მივმართავ მოპაექრეს. – გიორგი მქვია, გოგიათიც მომმართავენ.

– ბატონო გიორგი, (ზრდილობის ფარგლებს არ ვცდები) მაგალითისთვის, ავიღოთ დედ-მამით ობოლი ბავშვი, რომელსაც სახლ-კარიც აქვს და სარჩო-საბადებელიც, ოღონდ, ჯერ-ჯერობით თავის გატანა არ შეუძლია, საჭიროებს მეურვეს, მზრუნველ ხელს. თუ ეს მეურვე პატიოსანი, ღვთისნიერი კაცი აღმოჩნდება, რა თქმა უნდა, უპატრონებს ობოლსაც და მის საარსებო საშუალებებსაც. გავა დრო და ღვთისნიერი მეურვე უსათუოდ ეტყვის ობოლს:

– აი, შენი სახლ-კარი და მეურნეობა. დროა, მოუარო და საკუთარ კერაზე გააგრძელო ცხოვრება. ისე კი არა, ობლის სახლ-კარი, ქონება მიისაკუთროს, განეული ამაგის მოტივაციით და, თვითონ ობოლი მოსამსახურედ გაიხადოს!

– ჩვენი ავტობუსი მოვიდა, გოგიაა! – ახარა ვიღაცამ ბატონ გიორგის და ორივემ ავტობუსს მიაშურა.

გული დამწყდა... მინდოდა, გამეგო, თუ როგორ მიიღებდა მოპაექრე ჩემს შედარებას, რა პასუხს გამცემდა.

გული იმაზეც დამწყდა, რომ ღიად ვერ ვუთხარი ბატონ გიორგის, თუ რატომ არ მივტირი სსრ კავშირის დაშლას და ვედავები იმისთვის, რომ ამ კავშირმა, რამდენიმე ათწლეულით, მსოფლიო რუკიდან გააქრო უძველესი კულტურისა და ცივილიზაციის მქონე ჩემი ქვეყანა და, რაც ყველაზე ცუდია, ახლაც ცდილობს მის შთანთქმას!.. საინტერესოა, რა არგუმენტს მოიტანდა იგი ამის უგულებელსაყოფად.

ყველაზე მეტად, მაინც, ის მაინტერესებს, თავად ჩვენ – ქართველებს რა გვემართება! ასე უსაშველო რა გვჭირს, რატომ არ ვცდილობთ, გავუგოთ ერთმანეთს! როდემდე უნდა მივუნაკადულოთ წყალი სხვის წისქილს!?

და, რომ რუსეთი დამპყრობელია ბუნებით და არც მშვიდობისმყოფელია შედის მის ინტერესებში, – ეს ხომ არახალია, ძველია!..



„გვის ცოს სენატი“

ფერფლნაყრილი იმედი

ოცი წელი ომში იცხოვრა სამაჩაბლომ!

ოცი წელი პატარძლები დამის პერანგით არ ჩაწოლილან საწოლში!

ოცი წელი ომში იბადებოდა და იზრდებოდა იქაური ქართველი!

ოცი წელი სამაჩაბლოს მიწა კოცნა იქაურმა კაცმა, ქართული ვენახი გააძინა და იქაური უურძნის ნაჟურით აავსო ქვევრები... ოფლით, სისხლითა და ცრემლით მორწყული ვაზის წვენი იყო ღვინი, რომლითაც სამაჩაბლოელი კაცი საკუთარ მიწასა და ქვეყნას ლოცავდა!

ოცი წელი ნამუსიანად ეხურა ქუდი და მანდილი იქაურ ქალსა და კაცს!

თურმე, ეს იყო სამოთხე! – ჩვენს მიწაზე ვცხოვრობდით, ჩვენს სახლებში გვეძინა, ჩვენი ცა გვეხურა ქუდად, ჩვენს მიწას ვხნავდით და ვთესავდით...

მერე რა, ხანდახან კი არა, ძალიან ხშირად, ავტომატის ჯერი თუ გადაწინწკლავდა ცა! ესენიც, საპასუხოდ, თავიანთი ტყვით „გადაკოცნიდნენ“ მტრის ტყვიას და სამარისებური სიჩუმის შემდეგ, სროლის შეწყვეტას რომ მოჰყვებოდა ხოლმე, ერთმანეთს შეჰვიმებდნენ, ოფლით დაცვარულ შუბლზე მძიმედ გადაისვამდნენ შრომითა და ავტომატის სიმძიმით დაკოურილ ხელს, სარდაფიდან „ბებერ“ საღვინეს გამოიტანდნენ და, ვინ იცის მერამდენედ, დალევდნენ გადარჩენის, სიყვარულის, სიკეთის, ფუძის ანგელოზისა და ქვეყნის გამჩენის სადღეგრძელოს...

მდინარე?.. იქ რომ მდინარე იყო! მზე?.. იქ რომ მზე ანათებდა! მიწა?.. იმ მიწას სურნელი ჰქონდა!..

მერე?.. აგვისტოს გაცეცხლებული ცა გავარვარებული ჩაფხუტივით ჩამოგვემხო თავზე!

მსოფლიო შეაძრნუნა უეკიპაჟოდ დარჩენილმა ხომალდის სიცარიელემ!.. შავი ჭირვით გამოაყარა სამაჩაბლოს სიცოცხლეჩამკვდარ სხეულს კუპრადულებულმა ნასახლარებმა... აგვისტოს თაკარა მზემ ვენახსაც გაუშრო სისხლი, მიწასაც და კაცსაც! უტყვეოდ, უყანოდ დარჩენილი ფრინველები საბრალოდ წილდნენ – ეგონათ, დაბრმავდნენ, რადგან არასოდეს ენახათ ასეთი დაუსრულებელი უკუნი! ცა ირეკლავდა კუპრისფერს და ისედაც საშინელი სინამდვილე, გაორმაგებული ტკივილით შებლაოდა კავკასიონს – ქართველთა უბედურების უტყვ მოწმეს... ჭალარა თავები დამძიმებოდა დათოვლილ მწვერვალებს... თვალს ვერ უსწორებდნენ მზეს, რადგან მათ გულში გამოიარა ენითუთქმელმა, გაუგონარმა შურისძიებამ და რისხვამ! დაზარებიათ უბედურების ჩამოზვავება – ვერ შეუჩერებიათ რკინის რუხი მდინარე... ახლა კი, ყინულის ცრემლით ილტობდნენ ცეცხლით ამომწვარ გულ-მკერდა!

შიშით ძრწოდნენ კუპრით თვალდავსებული ადამიანები... მარადიული სიბნელე სიკედილის ცელით თიბავდა სიკეთეს, სიხარულს, სიყვარულს! ლითონის ჩიტებით ჩამოვერცხლილი ციდან ფოლადის ცხელი კვერცხი ანვიმდა მიწას და ყოველ ნაბიჯზე იჩეკებოდნენ სიკედილის წილილები! უსახელო, უსისხლო კაცები გამადიდებელი სათვალით დასცეროდნენ ციდან დედამიწის ერთ პანაწინა წალკოტს და შავი საშლელით შლილნენ ყველაფერს, რაც მათ თვალსაწირებში სითბოსა და სიყვარულს ასხივებდა, – დღის სინათლეს მიერეკებოდნენ სამაჩაბლოდან!

ვერა... ვერ მოასწრეს სამოთხის შვილებმა ნოეს კიდობნის შეკვრა! – ხარიც დარჩათ და ფურიც! დედაცა და მამაც! დაცა და ძმაც! ბაბოცა და პაპაც! დამარხულიცა და დასამარხიც! სისხლით ფეხშეღებილი შავი მტრედებით დაიფარა ცა... მშეერი ყვავ-ყორნების ლაშქარმა დახვრიპა ღიახვიო...

მიწაზე დამხობილი ცა სისხლის ცრემლებით ალბობდა მზის გულზე დაყრილი დაჭრილების სიკედილის ნატვრით და წყურვილით დაშაშრულ ბაგებს:

„ნუ დამტოვებთ, წამიყვანეთ...“ „მომკალით, ამათ ხელში ნუ ჩამაგდებთ...“

საქონლის ბლავილი, ძალების ყეფა, მიწის ტირილი, აბოლებული სახლები, ამტვერებული და დანაცრული გზები, ატირებული მდინარეები და მთები... გაუგონარი განუკითხაობით აბორგებული საფლავთა გუგუნი შემზარავ ექოდ მიჰყვებოდა არსაით გადახვენილთა ყურთასმენას!..

რა დაგვავიწყებს ამ ღლე-საწყევარს!..

უკან დასაბრუნებელი გზა, საუბედუროდ, დიდი ხნით ჩაიქცა! ხიდი-დაინგრა! სახლი-დაინვა! იმედი? – ფერფლნაყრილ იმედს, ჯერჯერობით, თავს მაღლა არ აწევინებს კუპრისფრად დაღამებული ღლე-საწყევარი!

შენი შვილები, ღლოდებად ქცეული მოთმინებით, შენთან დაბრუნების ღლე-სასწაულს ელოდებიან...

ელოდებიან!..

ციცინო ბაბუციძე

უსამართლო განაჩენი

ვინ გააცოცხლებს დასეტყვილ ყვავილს, ცას ვინ ააკრავს მოწყვეტილ ვარსკვლავს, ვინ დააბრუნებს ბედის საძებრად გულგადაკვეთილ ქალსა თუ ვაჟკაცა?! ვინ დაიშანთავს მკერდს რწმენის გამო, ვინ გაიმეტებს შვილს მამულისად?! კითხვას პასუხი გაეცა მაშინ, მტერი საზღვართან რომ გაგულისდა. სამაჩაბლოდან მოდენილ ქარებს მოაქვთ ტკივილი ნასახლარების... და სურვილები ტკივილად რჩება – აქედან იქით გადასახლების... ენგურის ხიდთან ტირის ყაყაჩო და კიდევ უფრო სისხლისფერია, შენს სამშობლოში დევნილის ბედი რა უსამართლი განაჩენია!..

ნუნუ სოზიაშვილი-ტაბატაძე

სევდათა დრო

ბევრს არაფერს გთხოვ, ცოტა მადროვე, სევდიან სიზმრებს მე ცხადში ვხედავ... ახალი დროის თანამედროვე, ტყუილს და მართალს უსიტყვოდ ვკენკავ... ზოგჯერ ვჩეკარობდი, წლები გავიდა, ბევრი რამ დამრჩა შენთვის სათქმელი და ის ღრუბელიც შორით წავიდა, მხრებზე რომ ედო ჩემი საშველი... მეც ხომ შენსავით სევდას ვაცილებ, ნაფერი მზით და ცრემლით ნალტობი, ჩემს გულისკარზე ისევ ანთია შენი ცის თაღის ღურჯი ტატნობი. შენც გერგო ხვედრი ღეჭისის მწერალთა – „მშვენიერს, ბედი, სხვა არსად არის“, თუმცა, დრო დადგა სულ სხვა ღელვათა, დაიხშო გული, დაისო თვალი... ქვეყანა ყრუა და დევნილ პოეტს შეაკრთობს ლანდი, უცხო იერით, ნათელზე მეტად წყვდიადი მეფობს, აქ დღეც და ღამეც დარჩა მშიერი... აღარაფერი აღარ მოხდება! – ეს ხმა შორიდან, გარკვევით გესმის, „პოეტი მაინც ერთი ღეჭისია,“ – გაგასენდება და, გული კვნესის... ვერ გაიხარე... ალბათ, ასეა, რაც იყო, ისიც წარსულში დარჩა, ეს ანმყო შენთვის თეთრი ღამეა, სევდათა დრო და მთვარეთა მარხვა... არაფერს არ გთხოვ, ეულად ვრჩები, იმედის ფსკერზე ხილვებს ვაპურებ, სამაჩაბლოში ქართლის ცრემლია, როსმე, ეს ცრემლი გულზე მაპურეთ!..

შოთა დარბუაშვილი



ეთო ხელაძე

ვ თ ვ გ ბ ი ა
დ ე ბ ი უ ც ი

თენგიზ კალიჩენკო

* * *

თორმეტი თვეა წელიწადში,
იღებ ანათვალს,
თვლა მარტივია,
ეპარება განა რამე თვალს?
ამ საუკუნის სადარდელი –
უცხოს ჩუქნი მზეს,
სანაცვლოდ, მუჭში ჩაგიყრიან
გადათელილ ბზეს!
ძარღვგანყვეტილი,
უცხოს ჩუქნი ამ მიწას, ამ ცას,
გაყიდულ სინდისს,
ამით, არა აკლდება არც რა...
აღარ ინთება, გაცრეცილა
სულში დაისი,
კითხვის ნიშნები ახმაურდნენ:
„კარგი რა ისმის?!”
მარტია, გინდა, გადაღებო
ფერად მაისად,
„ესეც გაივლის“...
და მაისი მოვა გაისად.

დრო

დროში გაწელილა გზები,
უჩინმაჩინივით ხდები.
მთები აზიდულა მხრებით,
ამბის მოლოდინით თვრები.
ოჳ, ეს უტიფარი წვიმა! –
თითქოს ცა ჩამოაქვს ციდან,
სულში გამოფენილ ლექსებს
წუხელ სიზმარივით შლიდა.
ვიღაც შავ-თეთრ ნიღბებს იცვლის
და შენს ნაბიჯებსაც ითვლის,
დრო კი, უსაშველოდ მიჰქრის,
დროც კი, აღარ რჩება ფიქრის.

თვალე წლები და თვეები,
გათვალული ფერები,
ცისარტყელა არ გიკარებს,
როგორ მოეფერები...
გინდა, ზურგზე მოიკიდო
აღმართები, სერები,
ღობე ყორეს ედება და
შენ სევდას ვერ ერევი.

ვ თ ვ გ ბ ი ა
დ ე ბ ი უ ც ი

* * *

წარმოვიდგინე, გარდავიცვალე,
წვიმა მეგონა ცრემლი მშობელის,
წარმოდგენების სასაფლაოზე
დაქროდა ქარი – დაუნდობელი.
უმწეოდ თრთოდა ვაზების მწკრივი,
დრო ბედისწერის წესებს ქარგავდა...
და ქვითინებდა ჩემი მშობელი,
იანვარი კი, ძალას კარგავდა.
მხოლოდ უფალი ხედავს და ესმის
ობოლი გულის კუნჭულში ნადებს,
იქნებ დამშვიდდეს ჩემი მშობელი,
უფალი გულში სიცოცხლეს ბადებს.

* * *

გიშვებ უმანკოს
და არა ცოდვილს,
ვემდური საცდურს
და არა ცდომას,
ვუწყრები სევდას,
რომ დამაქვს მალვით,
ვეჩვევი კრძალვით
უშენოდ კვდომას.

* * *

არ მეშინა
იმ ბოლო ღამის,
რომელსაც ქვეყნად
სულ ყველა ელის,
სიკვდილს თავადვე
დააფრთხობს ძალა
ჩემგან მოქნეულ,
ალესილ ცელის...

* * *

უმტვრევდა ქარი
ურწმუნოს სისხამს,
სურდა, რომ გულით
შეეცნო ღმერთი...
შენ ვერ შეიცან,
რა იყო წმინდა
და სინანული
სინანულს ერთვის.